

სპორტული

№183
(12 253)

6 აგვისტო ორშაბათი 2007
გამომცემი 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



გორაკედო მოკვებით

უმაღლესში დილა ითამაშებს




ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი ქუთაისის "ტორპედო" უფულობამ შეინირა. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე მძიმე, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს - უფულო და უსახსრო გუნდის ადგილი უმაღლეს ლიგაში არაა. პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი გადაწყვეტილების მოტივებზე, უმაღლესი ლიგის შემცირებასა და სხვა საკითხებზე გვესაუბრება.

- მომავალი სეზონიდან უმაღლესში 12 გუნდი ითამაშებს, თუ ეს ჯერ არაა გადაწყვეტილი? - აუცილებლად 12 ითამაშებს და

ეს დებულებაში უკვე გავითვალისწინეთ. უმაღლესიდან 3 გუნდი გავარდება და პირველიდან ერთი გადმოვა, პირველი ლიგის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონაში გამარჯვებული. დამარცხებული უმაღლესის კიდევ ერთი მონაწილის ვინაობას გაარკვევს.

2


შავერდოვანი რეპოლუსია ოლიგაში



ჯაფარიძე წავიდა, კალაუფლება ტარიელ შავერდაშვილმა აიღო




ინგლისის სუპერთასი მანჩესტერს და პერსონალურად ვან დერ სარს



ბალაქი და რობენი? რეალური



სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ



ნაქრები მარტო ფარულში არ არიან

ინტერვიუ ტაირონ ელისთან

11

13th CZECH CUP

4-5 August 2007

პირველი გუნდური რეიჩანში

ჩახეთის ქალაქ რეიჩანში დასრულდა ახალგაზრდა ძიუდოსტთა (20 წლამდელთა) საერთაშორისო ტურნირი, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა კარგად იჩიდავეს. ჩვენებმა ოქროს ორი, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოთხი მედალი მოიპოვეს, რაც საერთო ჩათვლაში მეოთხე შედეგია. აქვე დავაზუსტებთ, რომ ჩვენ ერთადერთი ნაკრები ვიყავით, რომელსაც გოგონათა გუნდი არ ჰყავდა, ბიჭებში კი ეს შედეგი პირველია.

ჩემპიონები გახდნენ: ამირან პაპინაშვილი (60 კგ.) და ნიკო კუცია (81 კგ.); ვერცხლის მედალი ზვიად ბაზანდარაშვილმა (73 კგ.) მოიპოვა. ოთხი ბრინჯაო ამათ სახელზე: სანდრო იაკობაშვილი (66 კგ.), ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ.), კონსტანტინე მუკვანი (100 კგ.) და ლევან მუქერია (მძიმე).

ნიკოლოზ ნაჭარიძე


ოპიტი ვინყაბთ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. ბორჯლოსნები ქალაქ აუენში, ნაკრების კონსულტანტის ანრი ბრონკანის კლუბის, "აუენის" ბაზაზე დაბანაკდნენ და ისევ ორჯერად ვარჯიშებს გადიან. დღეს კი, თბილისის დროით 22 საათზე პირველ საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ ბრონკანისევე ყოფილ გუნდ "ოშთან", რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური პირველი დივიზიონის ბინდარია.

როგორც საქართველოს ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ გვითხრა: "გუნდი დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით აგრძელებს მსოფლიო თასისთვის სამზადისს. "ოშთან" შეხვედრა, თბილისის ჯოჯოხეთური ფიზიკური დატვირთვების შემდეგ პირველი თამაშია და, ცხადია, საინტერესოა რამდენად ნაადრავი ჩვენი ბიჭების ფუნქციურ მზადყოფნას ნიკოლა ფულკიეს ვარჯიშები.

"ოშმა" წლეულს ელიტურ პირველ დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა და თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე ახალი მორაგბით გაძლიერდა, სულაც არაა ზედმეტად საკრავი გუნდი. ამ მატჩში ნაკრების ძირითადი შემადგენლობა, თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დასახელდება. ისე კი შეხვედრაში ყველა, ოცდაათივე მორაგბე მიიღებს მონაწილეობას".

საქართველოს ჩემპიონატი



პაატა ბურჯალიანი

პირველი გვერდიდან

სხვათა შორის, რაჭის გუნდები გაერთიანდნენ და მათ "ფაზისი" დაერქვათ. მას ფინანსური პრობლემა მოეხსნა და ლიგაში დაეშვით. ლიგადან მოხსნილი იყო ტყეშელის "მე-შახტე", მაგრამ ფინანსური გარანტიები წარმოადგინეს, დავალიანება გაისტუმრეს და დაეშვით.

- მთავარ მოვლენაზეც ვისაუბროთ. უმაღლეს ლიგაში აღარ იქნება ქუთაისის "ტორპედო". სიმაართლე ითქვას, ასეთ გადაწყვეტილებას არავინ ელოდა.

- ეს გადაწყვეტილება ძალიან ძნელი მისაღები იყო. ბოლო მომენტამდე ველოდით, რომ ქუთაისში ვითარება გამოსწორდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა, გუნდს ანგარიშზე თეთრიც არ აღმოაჩნდა. ყოფილა შემთხვევები, გუნდს მთლიანი სანვერო თანხა არ აქვს და ნაწილ-ნაწილ გადახდას ითხოვს. "ტორპედოს" ესეც არ გაუკეთებია, ანუ საერთოდ არაფერი ჰქონდა. სანვეროს გარდა, ფინანსურ გარანტიებსაც ვითხოვთ და ვერც ეს წარმოადგინეს ქუთაისელ გუნდს. წინა აღმასკომზე გუნდის წარმომადგენლები გავაფრთხილეთ, რომ ასეთი საშიშროების წინაშე იდგნენ.


სამწუხაროდ, "ტორპედოს" ვერავინ უშველა და სხვა გზა აღარ რჩებოდა. ტურის მატჩზე თუ უბენზინობის გამო ვერ ჩავა, ხელფასს ვერ გადაიხდის და მოედანზე მშვიერი მოთამაშეები იყვნენ, ასეთ კლუბს უმაღლესში არაფერი ესაქმება. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რომ დიდი ტრადიციის გუნდი უპატრონოდ დარჩა.

პირველი უფულობაა შეჭაბა

თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია და იქნებ, ახლა მაინც მიხვდნენ, რომ "ტორპედოს" ამ მდგომარეობაში ჩაგდება სირცხვილია. სხვათა შორის, მსგავსი რამ მოხდა "ჩიხურას" შემთხვევაში. საჩხერელებმა ფინანსური გარანტიები ვერ წარმოადგინეს და პირველ ლიგაშიც არ ვუშვებდით. სწორედ ამ დროს გამოუჩნდა პატრონი. ჩვენთან ბიძინა ივანიშვილის ბიზნესგუნდიდან, "ქართუდან" მოვიდნენ და გვითხრეს, რომ მზად არიან, პირველი ლიგის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. მათ გასული წლის დავალიანებაც დაფარეს და სანვეროც შემოიტანეს. ჩვენ ის გავგვიხარდა, რომ ეგრევე უმაღლეს ლიგაში თამაშის სურვილი არ აქვთ და "ჩიხურას" გაძლიერების მიზნით, ჯერ ქვედა ლიგაში თამაში ურჩევნიათ. ამასობაში კი საჩხერეში სტადიონს ააშენებენ და უმაღლესისთვის უფრო მომზადებულიები ვიქნებითო, განაცხადეს. ეს სწორი მიდგომაა. იმის თქმა მინდა, რომ იქნებ "ტორპედოს" პატრონი ახლა მაინც გამოუჩნდეს.

- პირველ ლიგაში "ტორპედოს" ათამაშებთ?
- საამისოდაც გარკვეული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს კლუბმა და ოთხშაბათს გვეცოდინება, ამას შეძლებს თუ არა.
- იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული აკაკი ბობოხიძე გუნდს ხომ აიძულებდა?
- სამწუხაროდ, ჩვენ პასუხიც ვერ მივიღეთ, ვინ არის "ტორპედოს" მესპატრონე. არც საჭირო თანხა მოიძებნა.
- კარგით, მაშინ რა პრინციპით დაუშვით გავარდნილი გორის "დილა" უმაღლესში და არა გადათამაშების მონაწილე პირველი ლიგაში "გაგრა"?
- აქ სპორტული პრინციპი მოქმედებს, ლიგადან გავარდნილი პირველი ლიგის მესამე გუნდზე წინ დგას. ამასთანავე, "დილა" ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გორის საკრებულოსა და გამგეობის საგარანტიო წერილები მივიღეთ, სტადიონიც განახლებულია, უკრაინიდან ახალი ტაბლო ჩამოიტანეს, მოედნის საფარს ვეღარ იცნობთ, გასახდლები გარემონტებულია, ინდივიდუალური სკამები დაამონტაჟეს. მოკლედ, უმაღლეს ლიგას ერთი უზრუნველყოფილი გუნდი შეემატა.
- ქუთაისზე უკეთეს დღეში არც ბათუმის "დინამო" იყო, ის კი ლიგაში დატოვებ?
- ბათუმში სერიოზულად გამოასწორეს მდგომარეობა, სანვეროც შემოიტანეს, საგარანტიო წერილიც და როგორც ვიცო, რამდენიმე სერიოზული მოთამაშეც დაიმატეს. "ბათუმს" დღეს "ტორპედოს" ნაღდად ვერ შევადარებ.
- "ბათუმი" სად ითამაშებს?
- ადელზე, მერე, ბათუმში ახალ სტადიონს ააშენებენ. ენახეთ ახალი არენის მკვეტი, მშენებლობის დასრულება 2009/10 წლებისთვისაა ნაგარაუდები, ტრიბუნები 18 ათას მაყურებელზეა გათვლილი.
- "ტორპედოს" გავარდნის შემდეგ უმაღლესში ავტომატურად 13 გუნდის დატოვებაზე არ ვიფიქრებთ?
- არ იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება, რადგან თამაშების რაოდენობა შემცირდებოდა და ყოველ ტურში ერთი გუნდი დაისვენებდა. ეს კი არასასურველია.

მერაბ მამულაშვილი



დავით ჯანაშია ტორპედოს უმაღლესში დაბრუნებას შეეცდება

ტორპედო პირველი ლიგა გადაწყვიტა...

ალმასკომის გადაწყვეტილება ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. "რას ვიზამთ, დებულებას უნდა დავემორჩილოთ, თუმცა შეიძლება, აღმასკომს ლობობიერება გამოეჩინა და ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენთვის გარკვეული დრო მოეცა. ვგულისხმობ "ტორპედოში" ახალი ინვესტორის მოსვლას, რომელიც სექტემბრიდან კლუბში სოლიდური თანხების ჩადებას აპირებს", - აცხადებს "ტორპედოს" გენერალური დირექტორი ვლადიმერ კაკაურიძე.

მასთან საუბარში ისიც შეეიტყვეთ, რომ "ტორპედო" მომავალ სეზონში აუცილებლად იასპარეზებს პირველ ლიგაში და უმაღლესში დაბრუნებისთვის იბრძოლებს. რაც შეეხება ფოთის "კოლხეთთან" გასამართ სათასო მატჩებს, მათი ჩატარება ჯერ არ გადაწყვეტილია. შესაძლოა, ქუთათურებმა ფოთელებთან ბრძოლაზე უარი თქვან.

საგარაუდოდ, არ იქნება ცვლილებები "ტორპედოს" შემადგენლობაში, კონტინგენტი ფაქტობრივად, უცვლელი დარჩება. თუმცა არაა გამოცხადებული, გუნდს ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელი დაემატოს.

ლევან ჯანაშიაშვილი

მგლები არაბებს ელის

ზუბედილი "მგლები" სეზონისთვის საკმაოდ გაძლიერდა. რუსთავეის "ოლიმპიდან" გუნდმა ნახევარმცველი გელა ხუბუა დაიმატა, "სიონიდან" ზურაბ ექონია, ახლა მათ თბილისის "დინამოს" ფორვარდი ზამირ ჯანაშიაც დაემატა. ეს ინფორმაცია "მგლების" პრეს-ატაშე გელა ნაჭყებიაგან გაცემოდა. ამას გარდა, გუნდში ლეგიონერებსაც ელიან.

"მალე თურქეთის მესამე ლიგაში მოთამაშე ორი ლეგიონერი ჩამოვა. ისინი არაბები არიან და როგორც კი საბუთებს მოანესრიგებენ, გუნდს შეუერთდებიან", - გვითხრა ნაჭყებია, თუმცა არაბების ვინაობა ჯერ ვერ დაგვზუსტეთ.

მერაბ მამულაშვილი

უმაღლეს ლიგაში "ტორპედოს" ნაცვლად მოხვედრა გორელთათვის სასიამოვნო და მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა. როგორც გახსოვთ, ამ წლის დასაწყისში "დილას" ახალი პატრონი, მიხეილ ლურსმანაშვილი გამოუჩნდა და მას შემდეგ კლუბმა ფინანსურად საგრძობლად ამოისუნთქა. კონკურენტებთან საკმაო ჩამორჩენის გამო, გასულ სეზონში "დილამ" უმაღლესში ადგილის შენარჩუნება ვერ შეძლო, თუმცა გუნდის თამაშში საკმაო პროგრესი შეინიშნებოდა.

კლუბის პრეზიდენტი პირველ ლიგაში დაქვეითებას თავიდანვე შეგუებული იყო და უმაღლესში დაბრუნებას ბრძოლაში აპირებდა. ბუნებრივია, უმაღლეს და პირველ ლიგებში ბრძოლას სხვადასხვანაირი სიძლიერის გუნდი სჭირდება და შიდაქართულ ექსტრემალურ პირობებში მოუწევთ გაძლიერება. "დილას" პრეზიდენტი იმედინადა და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, ანუ აგვისტოს ბოლომდე, გუნდის ნორმალურად დაკომპლექტებას აპირებს.

დელა. ინტერვიუ მიხეილ ლურსმანაშვილთან გაძლიერება უნდა მოვასწოროთ

- ფედერაცია და პროფლიგა თქვენი კლუბის გარანტიები სიძვირები იოლად დაარწმუნებ?

- დიახ, მათ იმთავითვე იცოდნენ, რომ "დილა" უმაღლესი ლიგის ყველა მოთხოვნას თავისუფლად აკმაყოფილებდა. თუმცა უმაღლესში დარჩენა ჩვენთვის მაინც მოულოდნელი იყო. პირველი ლიგისთვის სათანადოდ მოვემზადეთ. დარწმუნებულები ვიყავით, რომ მომავალ სეზონს აუცილებლად უმაღლესში დავინაცვებდით, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ახლავე მოვავსე მალაღ დონეზე ასპარეზობა.

- წინა სეზონის შემდეგ, გუნდის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა?

- დიახ, "დილა" რამდენიმე თბილისელმა ფეხბურთელმა დატოვა, ნაყიდ-სენდ გამოცდილი ადგილობრივებიც დღესდღეობით, მწვრთნელთა განკარგულებაში მყოფი თითქმის ყველა ფეხბურთელი გორელია, მხოლოდ თითო ახალგაზრდა გვყავს თბილისიდან და ხაშურისა.

სამწუხაროდ, ფეხბურთელთა დიდ ნაწილმა პირველ ლიგაში თამაში არ მოისურვა და სხვა კლუბებს მიაშურა. ცხადია, მათი უკან დაბრუნება ვეღარ მოხერხდებოდა. ასე რომ, სხვა მოთამაშეებს უნდა მოვლაპარაკოთ. აგვისტოს ბოლომდე არაერთი ახალგაყვანილი გვეყოლება, იმედია, რამდენიმე ფეხბურთელს პირველ ტურამდეც დავიმატებთ.

- მიზანი, ალბათ, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება იქნება.

- რა თქმა უნდა. ახალი დებულების მიხედვით, პირველ ლიგაში სამი გუნდი ავტომატურად ვარდება და წინ დიდი ბრძოლები გველის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამოცანას თავს გავართმევთ. სამომავლოდ კი გაცილებით შორსმომავალ გეგმებს დავისახავთ.

- გორის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია რა სტადიაშია?

- დასავლეთ ტრიბუნაზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება მთლიანად დასრულებულია, დაახლო-

ებით ერთ თვეში კი ეს სამუშაო აღმოსავლეთზეც დამთავრებული იქნება. განახლებული "ბურჯანაძე" მათას მაყურებელს დაიტევს. უკვე დამონტაჟებულია თანამედროვე ელექტროტაბლო, დაწყებულია გასახდლების რემონტიც. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია მინდვრის საფარი.

საერთოდ კი, სტადიონის რეკონსტრუქციის გეგმა ორწლიანია, პროექტი ტრიბუნების გადახურვას, ღამის განათების დამონტაჟებას, სასტუმროსა და საწვრთნელი ბაზის მოწყობას ითვალისწინებს.

- ხომ არ არსებობს იმის საფრთხე, რომ სეზონის მსვლელობისას "დილას" ფინანსური პრობლემები შეექმნას?

- არა, ეს გამოცხადებულია. გარდა იმისა, რომ კლუბს პარტნიორებთან ერთად ვაფინანსებ, გვერდში ადგილობრივი მთავრობაც დაგვიხმობს. ვითარებით შემძლია ვთქვა, რომ "დილა" ფინანსურად ძლიერი და ნარმატიული კლუბი იქნება.

ლევან ჯანაშიაშვილი



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინოთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

ფინანსური პირობების შეუსრულებლობის გამო, XIX ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში ქუთაისის "ტორპედოს" ადგილს გორის "დილა" დაიკავებს. ამ ცვლილებიდან გამომდინარე, პირველი წრის კალენდარს თავიდან ვებეჭადეთ.



ტორპედო პირველ ლიგაში ითამაშებს

საქართველოს XIX ჩემპიონატი. კალენდარი

პირველი წრე

I ტური	
10 აპრისკოპ. პარასკევი	ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია მსხეთი-გვლავი ლუკომოტივი-ამერი
11 აპრისკოპ. შაბათი	დილა-ბათუმი სიონი-საბურთაქო ოლიმპი-დინამო
12 აპრისკოპ. კვირა	გორჯოში-მირანი
II ტური	
17 აპრისკოპ. პარასკევი	გვლავი-მირანი საბურთაქო-გორჯოში
18 აპრისკოპ. შაბათი	მსხეთი-ზესტაფონი ბათუმი-ოლიმპი ვიტ ჯორჯია-ლუკომოტივი
19 აპრისკოპ. კვირა	დინამო-სიონი ამერი-დილა
III ტური	
24 აპრისკოპ. პარასკევი	დილა-ვიტ ჯორჯია ლუკომოტივი-მსხეთი სიონი-ბათუმი მირანი-საბურთაქო
25 აპრისკოპ. შაბათი	ოლიმპი-ამერი ზესტაფონი-გვლავი გორჯოში-დინამო
IV ტური	
31 აპრისკოპ. პარასკევი	ზესტაფონი-ლუკომოტივი
1 მაისი-შაბათი	ბათუმი-გორჯოში გვლავი-საბურთაქო ვიტ ჯორჯია-ოლიმპი
2 მაისი-კვირა	მსხეთი-დილა ამერი-სიონი დინამო-მირანი
V ტური	
14 მაისი-პარასკევი	ლუკომოტივი-გვლავი დილა-ზესტაფონი სიონი-ვიტ ჯორჯია ოლიმპი-მსხეთი
15 მაისი-შაბათი	საბურთაქო-დინამო მირანი-ბათუმი გორჯოში-ამერი
VI ტური	
22 მაისი-შაბათი	ლუკომოტივი-დილა ბათუმი-ცხინვალი ზესტაფონი-ოლიმპი
23 მაისი-კვირა	მსხეთი-სიონი ვიტ ჯორჯია-გორჯოში ამერი-მირანი გვლავი-დინამო
VII ტური	
28 მაისი-პარასკევი	სიონი-ზესტაფონი გორჯოში-მსხეთი მირანი-ვიტ ჯორჯია დილა-გვლავი

29 მაისი-შაბათი	ოლიმპი-ლუკომოტივი საბურთაქო-ამერი დინამო-ბათუმი
VIII ტური	
5 ივნისი-პარასკევი	მსხეთი-მირანი
6 ივნისი-შაბათი	გვლავი-ბათუმი დილა-ოლიმპი ამერი-დინამო
7 ივნისი-კვირა	ზესტაფონი-გორჯოში ვიტ ჯორჯია-საბურთაქო ლუკომოტივი-სიონი
IX ტური	
19 ივნისი-პარასკევი	დინამო-ვიტ ჯორჯია ბათუმი-ამერი გორჯოში-ლუკომოტივი სიონი-დილა
20 ივნისი-შაბათი	საბურთაქო-მსხეთი
21 ივნისი-კვირა	ოლიმპი-გვლავი მირანი-ზესტაფონი
X ტური	
27 ივნისი-შაბათი	გვლავი-ამერი დილა-გორჯოში მსხეთი-დინამო
28 ივნისი-კვირა	ზესტაფონი-საბურთაქო ვიტ ჯორჯია-ბათუმი ლუკომოტივი-მირანი ოლიმპი-სიონი
XI ტური	
9 ივლისი-პარასკევი	გორჯოში-ოლიმპი ბათუმი-მსხეთი
10 ივლისი-შაბათი	ამერი-ვიტ ჯორჯია საბურთაქო-ლუკომოტივი სიონი-გვლავი
11 ივლისი-კვირა	დინამო-ზესტაფონი მირანი-დილა
XII ტური	
11 ივლისი-პარასკევი	სიონი-გორჯოში გვლავი-ვიტ ჯორჯია დილა-საბურთაქო ოლიმპი-მირანი
12 ივლისი-შაბათი	ლუკომოტივი-დინამო ზესტაფონი-ბათუმი მსხეთი-ამერი
XIII ტური	
1 დეკემბერი-შაბათი	საბურთაქო-ოლიმპი ამერი-ზესტაფონი ბათუმი-ლუკომოტივი
2 დეკემბერი-კვირა	გორჯოში-გვლავი დინამო-დილა მირანი-სიონი ვიტ ჯორჯია-მსხეთი

შინიშვნა: აგვისტოში თამაშები დაიწყება 17 საათზე, სექტემბერში - 16 საათზე, ოქტომბერში - 15 საათზე, ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში - 14 საათზე.

ქართული ტრანსფერები

გუნდი	წავიდნენ	მოვიდნენ	გზადება
ოლიმპი	ძიუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი, ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი), ხუბუა, დანი	ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (გორჯოში), ყივციანი, დვალის (ჩიხურა), რ. ჯიქია (არეზდით მგლებიდან), ვილდასი	შეკრება ურეკში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი
დინამო	იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (მტურში), სირბილაძე (GMFF შედეგით), ზ. ჯანაშია (მგლები)	გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირევი, ვუკუე, დობევი, ლობჯანიძე (ბათუმი)	შეკრება ბაკურიანსა და გერმანიაში. უფასო თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
პაჩი	სევასტოპოლო (მერანი)	კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავეცი (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა)	შეკრება ჩეხეთში. უფასო თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ზესტაფონი	ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ქელოძე, ბ. გოცირიძე, ლევანდრო, პარამონოვი, დოლონაძე	—	შეკრება ურეკსა და ანკარაში
ვიტ ჯორჯია	გველესიანი (დინამო), თ. კობიაშვილი (ბორჯომი)	—	შეკრება ყირიმში
სიონი	კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელი), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავეცი (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), შამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელიანი (ოლიმპი)	აკობია (მწვრთნელი), გ. იაშვილი (კახეთი), რეზვიაშვილი, ქუთათელაძე (ტორპედო)	შეკრება ბოლნისში შეკრება ურეკში
დილა	თევდორაძე, კ. ხანიშვილი	—	—
ლუკომოტივი	გონჩაროვი, სოსელია, ჩომახიძე	გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლალაძე (ტორპედო)	შეკრება ურეკში
ბათუმი	ლობჯანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლუკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე	—	შეკრება არ დაწყებულა
ბორჯომი	კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (?), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდლავეცი, ნადირაშვილი, ავალიანი	ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (მერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზ. სტურუა (დინამო), ლ. აკობია (დინამო), ნერგაძე (დინამო), ბაბუნაშვილი (დინამო),	შეკრება ბორჯომში
პერიანი	ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, ვაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი)	კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეცარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მე-შაქრე), სევასტოპოლო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (ვაგრა), ტყეშელაშვილი (ვაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჯანიძე (ნ/დინამო)	შეკრება კოჯორსა და ურეკში
ცხინვალი	—	ყორჭიაშვილი (მწვრთნელი)	—
მგლავი	გ. თოდუა (მტ-რნი), რ. ჯიქია (ივარიტი ოლიმპი)	ექონია (სიონი), ქედიანი (ტორპედო), ზ. ჯანაშია (დინამო), ხუბუა	შეკრება ზუგდიდში
მსხეთი	მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მალაროელი), ილურიძე (მალაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია)	აფრიაშვილი (ვაგრა), მამუკაშვილი (ვაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი)	შეკრება ახალციხეში

შინიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები



სკანდალი

კოლია მამარ შარშია

ATP-ის აღმასრულებელი მდივნის, ეტიენ დე ვილის თქმით, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, რუსი ნიკოლაი დავიდენკო FAIR PLAY-ის პრინციპების დარღვევაშია ეჭვმიტანილი.

დე ვილის თქმით, სოპოტში, დავიდენკოსა და რეიტინგში 87-ე ადგილზე მყოფ მარტინ ვასალო არგელოს მატჩამდე რამდენიმე ტოტალიტარი დაახლოებით 7 მილიონი დოლარით არგენტინელის მოგებაზე "დაიტვირთა", რაც თავისთავად, მეტოქეების სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო იყო.

დავიდენკომ თავიდან თავის გამართლება იმით სცადა, არგენტინელი, ანუ არგენტინელი მამარის მეთიხნარეა და ფავორიტად თუ ჩათვალეს, ამაში გასაკვირი რა იყო. თავად კოლიას კი კარიერაში საუკეთესო შედეგები სწორედ რომ ნელ საფარზე აქვს ნაჩვენები და არგელოსთან კი არა, ფედერერ-ნადალის გარდა თიხნარზე იქნებ ნებისმიერ მოთამაშესთან მეფსონეთა ფავორიტი იქნებოდა.

საბუკმეიკერო ფირმა Betfair-მა აღნიშნულ შეხვედრაზე ყველა ფსონის მიღება მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შეწყვიტა, რადგან თანხის 90% ვასალო არგელოს მოგებაზე შედიოდა.

"ნიკოლაი ძალიან კარგი ჩოგბურთელია, მაგრამ ჩვენი დიდი ოჯახის პრესტიჟის შელახვას ვერავის ვაპატიებთ. არაფრის იმედი არ მაქვს და არც არანაირ ვარაუდს გამოვთქვამ, უზრუნველყოფის განვითარებას დაველოდებით და სათანადო გადამკვეთლებს ამის შემდეგ მთავარ მიზეზს დავუბრალებ", - ამბობს დე ვილი.

დავიდენკოს აგენტი ექვარდ უმსი კი ამბობს, რომ მისი კლიენტი უდანაშაულოა და მთელი ეს აჟიოტაჟი უსაფუძვლოა.

"არც ნიკოლაისა და არც მის მწვრთნელს ასეთი სულელური და სარისკო გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ჩემი კლიენტი ტრავმირებული თამაშობდა და აქედან გამომდინარე, პირველი სეტის მოგების შემდეგ ენერჯია რაციონალურად ვეღარ გადახანია და საბოლოოდ წააგო. ყველამ ვიცით, თუ რა შრომის ფასად დაუჯდა ნიკოლაის პირველ ათეულში ადგილის დამკვიდრება", - ამბობს უმსი.



ნიკოლაი დავიდენკო

სხვათა შორის, კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელი რვა წლის წინათ იდენტურ სკანდალში გაეხვია. მაშინ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მეჩოგნე ევგენი კაფელინიკოვი ესპანელ ფერნანდო ჯისენტესთან მატჩის არასპორტული პრინციპების გამო ნაგებაში დაადანაშაულეს. ვისენტემ ის მატჩი მოიგო, მანამდე კი ესპანელს ზედიზედ 12 (!) შეხვედრა ჰქონდა ნაგებული. კაფელინიკოვმა ვისენტესთან თითქმის უბრძოლველად დათმო შეხვედრა.

ზურაბ თალაყვაძე

ტურნირები

რობრედო სოპოვის მეფაა

ესპანელი ტომი რობრედო არის პირველი ჩოგბურთელი, ვინც პოლონეთის უძველესი საჩოგბურთო ტურნირი მეორედ მოიგო. სოპოტის ტურნირის ფინალში, მან ორ სეტში მოუგო არგენტინელ ხოსე აკასუსოს. რობრედომ თავის კარიერაში ატჯ-ს პირველი ტიტული 2001 წელს სწორედ სოპოტში მოიგო. აქამდე კი მას სულ ოთხი ტურნირი ჰქონდა მოგებული.

"რასაც ამ ტურნირის ორჯერ მოგება შევძელი, ესე იგი, აქაურებს ძალიან მოწონს. მართლა ასეა და ბედნიერი ვარ, რომ ეს მეორედაც შევძელი", - განაცხადა რობრედომ, ვისაც რეიტინგში მეშვიდე ადგილი უკავია, თუმცა ამ სეზონში აქამდე არცერთი ტურნირი არ მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ, კორტზე თავს უფრო თავდაჯერებულად ვიგნობო, - დასძენს ესპანელი.

პირველი სეტი მეტად საინტერესო გამოდგა. პირველივე გეიმში რობრედომ ბრეიკი აიღო, თუმცა მომდევნო გეიმშივე, აკასუსომ ბრეიკითვე უპასუხა. მეექვსე სეტში მეტოქის სერვისზე არგენტინელმა ივარგა და 4:2 დაინაწურდა. მაგრამ ამჯერად რობრედომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. მანვე მე-12 გეიმში კიდევ ერთხელ მოახერხა მეტოქის სერვის-გეიმის მოგება და სეტიც გამარჯვებით დაასრულა.

მაყურებელი მეორე სეტშიც ანალოგიურ საინტერესო სანახაობას ელოდა, მაგრამ ასე აღარ მოხდა. აკასუსომ, ვისაც სოპოტური ტურნირი 2002 წელს მოუგია, ესპანელს მცირე წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია.

სტოკჰოლმის ტურნირის ფინალში ერთმანეთს ორი ისეთი ჩოგბურთელი დაუპირისპირდა, რომლებსაც აქამდე ტურნირი არ მოუგოთ. ბევრი თინჯიერებს შორის დაძაბულ პაექრობას ელოდა, თუმცა პოლონელმა აგნიეშკა რადვანსკამ ორ სეტში მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო თავის რუს ვიზავი ვერა ლუშევიანს, ვისაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩოგნისგან ხელი დაწყულეული ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ რადვანსკამ მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ოცი გეიმი წააგო.



ტომი რობრედო

ATP ORANGE PROKOM OPEN სოპოტი (პოლონეთი). ტიხნარი საპრიზო ფონდი: 425 250 ევრო

1/4 ფინალი ტომი რობრედო (ესპ, 2)-შტეფან ჟუბეკი (ავსტრია) 5:7, 6:4, 6:1; ხოსე აკასუსო (არგ)-ფლორიან მიერი (გერ, 7) 7:6(4), 6:3; ვილ სიმონი (საფ)-იგორ ანდრევი (რუს) 6:4, 7:5; ალბერტ მონტანესი (ესპ)-მარტინ ვასალო არგელი (ესპ) 2:6, 6:4, 6:2

1/2 ფინალი ტომი რობრედო (ესპ, 2)-ვილ სიმონი (საფ) 6:3, 7:6(4); ხოსე აკასუსო (არგ)-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:1, 6:2

ფინალი ტომი რობრედო (ესპ, 2)-ხოსე აკასუსო (არგ) 7:5, 6:0

LEGG MASON TENNIS CLASSIC ვაშინგტონი (აშშ). პარდი საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

1/4 ფინალი ენდი როდიკი (აშშ, 1)-პოლ-ტიკლი (კორ, 5) 7:6(6), 6:2; ჯონ იზნერი (აშშ)-ტომი პასი (გერ, 2) 6:4, 6:7(6), 7:6(5); გაელ მონფილსი (საფ, 9)-მარტ სავინი (რუს, 3) 6:3, 7:5; იგო კარლოვიჩი (ხორვ)-პოლ კაპდევილი (ჩილე, 7) 4:6, 6:3, 7:6(5)

1/2 ფინალი ენდი როდიკი (აშშ, 1)-იგო კარლოვიჩი (ხორვ) 7:6(7), 7:6(5); ჯონ იზნერი (აშშ)-გაელ მონფილსი (საფ, 9) 6:7(4), 7:6(1), 7:6(2)

WTA NORDEA NORDIC LIGHT OPEN სტოკჰოლმი (შვედეთი). ტიხნარი

1/4 ფინალი ვერა ლუშევიანა (რუს, 8)-დომინიკა ციბულკოვა (სლვაკ) 6:4, 6:7(3), 6:3; აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)-კაროლინ ვოხნიაცი (დან) 6:4, 6:1; ჯულია გეორგესი (გერ)-ემილი ლუა (საფ, 3) 2:0 (ლუას ტრაიპა); ცვეტანა პირონკოვა (ბულგ)-სტეფანი კონ ალორი (საფ) 6:7(3), 7:6(5), 6:1

1/2 ფინალი აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)-ცვეტანა პირონკოვა (ბულგ) 6:4, 6:3; ვერა ლუშევიანა (რუს, 8)-ჯულია გეორგესი (გერ) 6:4, 5:7, 6:3

ფინალი აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)-ვერა ლუშევიანა (რუს, 8) 6:1, 6:1

ACURA CLASSIC სან დიეგო (აშშ). პარდი საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

1/4 ფინალი მარია შარაპოვა (რუს, 1)-სანია მირზა (ინდ) 6:2, 6:1; ანა ჩაკევაძე (რუს, 3)-ენუს ულაოში (აშშ, 10) 6:7(5), 7:6(3), 6:2; პატი შნიდერი (შვეი, 11)-ნადია პეტროვა (რუს, 4) 6:4, 6:2; ელენა დემენტიევა (რუს, 9)-მარია კირილენკო (რუს) 6:2, 6:4

1/2 ფინალი მარია შარაპოვა (რუს, 1)-ანა ჩაკევაძე (რუს, 3) 6:3, 6:2; პატი შნიდერი (შვეი, 11)-ელენა დემენტიევა (რუს, 9) 7:6(4), 6:0

Table with 2 columns: Time and Event. Includes EUROSPORT 1 and EUROSPORT 2 listings.

Table with 2 columns: Time and Event. Includes SPORT 1 listings.

Table with 2 columns: Event and Score. Includes ATP, სოპოტი, and სტოკჰოლმი.

Table with 2 columns: Event and Score. Includes ATP, სოპოტი, and სტოკჰოლმი.


მძლეოსნობა

ლოპინგი მკლეროსნობა ღოპინგის წინააღმდეგ

მკლეროსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაცია (IAAF) აცხადებს, რომ ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე, არნახულად ბევრი დოპინგ-ტესტის ჩატარება იგეგმება.

ისინი მოგვიანებით, ახალი მეთოდებით შესაძლებლად გამოიყენებოთ", - ამბობს დიაკი.

კერძოდ, რეადიანი ჩემპიონატის დროს, სულ ათასი სინჯის შემონახვა იგეგმება. შედარებისთვის, წინა ჩემპიონატზე, დოპინგთან მებრძოლებმა სულ 885 ტესტი ჩაატარეს.



"წინასწარ არავის გავაფრთხილებთ, თუ რა ტიპის ტესტებს ჩავატარებთ და როდის. რა თქმა უნდა, აუცილებლად შევამოწმებთ ყველა ჩემპიონსა და მედალოსანს. ოსაკაში ყველას დავანახებთ, რომ არც მძლეოსნობა აპირებს დოპინგთან ბრძოლის შესუსტებას. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ თაღლითებს თავის გამოჩენის საშუალება არ მივცეთ", - აცხადებს IAAF-ის პრეზიდენტი ლამინ დიაკი.



ის დარწმუნებულია, რომ მძლეოსნობის ვარსკვლავების უმეტესობა სუფთაა. ჰოდა, ჩვენი აქტიურობა სწორედ სამართლიანად მოასპარევეთა სასარგებლოდ იმოქმედებსო, - დასძენს პრეზიდენტი.

ლამინ დიაკი

